ბაღდათის მუნიციპალიტეტში საოჯახო ღვინის მწარმოებლებთან

შეხვედრის ოქმი

ქ. ბაღდათი 23 მარტი .2023 წელი

შეხვედრის ჩატარების ადგილი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზი (III სართული)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებული მცირე საოჯახო ღვინის წარმომადგენლები:

- მეღვინეობა ნაგუთნები - სევერიან ღამბაშიძე;

- ბაღდათის საოჯახო მარნების გილდიის ხელმძღვანელი ბესიკ წიქორიძე;

- დიმის ფერდობი- გაგა ჭრელაშვილი

- ბაია აბულაძის მარანი - ბახვა აბულაძე;

-მარანი დიომიდე- მირიან იოსებაშვილი;

-გია ლომიძის მარანი- გია ლომიძე;

- კაკი ხორავას მარანი - გია ხორავა

-ადგილობრივი ღვინის დეგუსტატორი -გიგა ლომინაძე

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები;

-ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი -თინა აბულაძე- შეხვედრის ორგანიზატორი

-ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი -ნინო ქვლივიძე- შეხვედრის მდივანი

- Giz – საქართველოსა და ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD- ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CES) პროექტის წარმომადგენლები აკაკ რუხაძე

- Giz – საქართველოსა და ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD- ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CES) პროექტის წარმომადგენლები გიორგი როჯეგაშვილი

დღის წესრიგი

1. ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის(EU4ITD- ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CES) პროექტის ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობების გაცნობა
2. პროექტის ფარგლებში წარსადგენად იდეის ინიცირება

განხილული საკითხები:

აკაკი რუხაძემ და გიორგი როჯეგაშვილმა დამსწრე პირებს გააცნეს ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD- ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CES) პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობები და თხოვეს დამსწრე პირებს მათთვის მნიშვნელოვან პროექტის იდეის ინიცირება.

მეღვინეების მიერ ინიცირებული იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარციხეში ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების ცენტრში ღვინის ლაბორატორიის მოწყობის იდეა

ირაკლი მინაძემ, სევერიან ღამბაშიძემ, გაგა ჭრელაშვილმა, მირიან იოსებაშვილმა, ბახვა აბულაძემ. ღვინის რეალიზაციისთვის შესაბამისობის სერთიფიკატის აუცილებლობაზე, რისთვისაც ადგილზე ლაბორატორიის არსებობა დაზოგავს, დროსა და ფინანსურ დანახარჯებს, ამასთან ისაუბრეს რამდენად ხელისშემშლელ ფაქტორია ლაბორატორიის ადგილზე არ არსებობა ხარისხიანი ღვინის საწარმოებლად, რომ თბილისში ჩატანილი სინჯები, ხშირ შემთხვევაში აცდენილია რეალობას, ტრანსპორტირებისა და დროის გამო, რაც

ხელს უშლის ღვინის დაყენების პროცესში რეალური სურათის მიღებასა და შესაბამისი ქმედების განხორციელებას. შესაბამისად მაღალი ხარისხის ღვინის მიღებაც ვერ ხერხდება.

ლაბორატორიის ადგილზე არსებობა და ხელმისაწვდომობა დაზოგავს დანახარჯებს და დროში არ იქნება აცდენილი მაღალი ხარისხის ღვინის დაყენებისთვის შესაბამისი პრეპარატების გამოყენება, ასევე დაიზოგება ზადის გამოსასწორებლად გასაწევი ხარჯები.

ღვინის გილდიის ხელმძღვანელმა ბესო წიქორიძემ აღნიშნა,რომ ღვინის ლაბორატორიის შექმნით მეღვინეებს დაეზოგებათ დანახარჯები, ხელმისაწვდომი იქნება იმ მომსახურებისა და სერვისების მიღება,რისთვისაც თბილისში უწევთ გადაადგილება. ამასთანავე დაიზოგება მათი დრო და რესურსი. ლაბორატორიის შექმნით გაიზრდება მათი პროდუქციის ხარისხი და ღირებულება.

მიღებული გადაწყვეტილება

შეხვედრის მონაწილეებმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მისამართით ინიციატივა და ერთობლივი თხოვნა დააფიქსირეს ევროკავშირის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD- ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CES) პროგრამის ფარგლებში ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრში ღვინის ლაბორატორიის მოწყობის თაობაზე

შეხვედრის ორგანიზატორი : **თინა აბულაძე**

შეხვედრის მდივანი **ნინო ქვლივიძე**